



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 6 თებერვალი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: „ევროპის ფონდი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ვლადიმერ ბოჭაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შედეგები
- ყოველწლიური საერთო კრება, დღის წესრიგის შემუშავება
- ახალი წევრების მიღება
- და სხვ.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხები.

საბჭომ იმსჯელა მოთხოვნათა იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამდივნო ორგანიზაცია:

- პროექტის განხორციელების შესაძლებლობები (ადამიანური და ტექნიკური რესურსი)
- კოალიციური პროექტების მართვის გამოცდილება
- საერთაშორისო პროექტების განხორციელების გამოცდილება
- ინსტიტუციური მეხსიერების არსებობა (დაკავშირებული ეროვნული პლატფორმის მიმდინარე პროცესებთან)

პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება, ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე. თუმცა, იქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა მოხდეს აღნიშნული კრიტერიუმების კორექტირება სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის მიმდინარეობისას, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, საბჭოს წევრებს გააცნო ქართულ-ევროპული პლატფორმის ჩამოყალიბების დეტალები. აქვე აღინიშნა, რომ პლატფორმაში შემავალ 18 წევრს ორგანიზაციის შიგნით თანაბარი უფლებები გააჩნიათ და ასევე შესაძლებელია როტაციაც.

შემდეგ საკითხად, ბატონმა ლაშა ტულუშმა ისაუბრა მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, მის შედეგებზე, რომელზეც განიხილეს ფორუმის სტრატეგიული დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის პერსპექტივებს და პლატფორმების ფუნქციებსა და მომავალ საქმიანობებს. ერთი დოკუმენტი ეხება პლატფორმის სტრუქტურულ ნაწილს, რაზეც მიმდინარეობს დისკუსიები და გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადვოკატირების საკითხს, თუ რა მიმართულებით უნდა გამახვილდეს ყურადღება. გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება : ახალგაზრდების, გენდერისა და უსაფრთხოების თემები.

ეროვნულმა კოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ პირველად აღმოსავლეთ პარტნიორობის სისტემის არსებობის ისტორიაში საქართველოს წამომადგენელი, ქალბატონი ალექსანდრა კალატოზიშვილი არჩეულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ, რომელმაც უკვე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიაღწია.

შეხვედრის ბოლოს, საკოორდინაციო საბჭომ განიხილა პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი 2 ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დააკმაყოფილა მათი განაცხადები.

1. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
2. ევროპულ დემოკრატიული ცენტრი

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაბე